წვიმა შავ ზღვაზე

ზღვამ ჩაშალა ნამქერად
თეთრი ქაფის კრაველი,
ტალღებიდან ამღერა
ძველი მესაკრავენი.

წვიმის ჩანგი ჟღეროდა,
გუგუნებდა ნაღარა,
ზღვამ დასძახა "ჰეოდა!"
გაიწეწა ჭაღარა...

ზღვა გავიდა მაღლარზე ,
ცას გაეფხვნა შხაპითა,
დააბინდა მაღლა მზე
და მიწაზეც დაბინდდა.

შეჰკრა კუპრის სარტყელით,
სჭექდა შემოკივილით;
ზვირთი ზვირთში დათხრილი
ინჩქრეოდა ტკივილით!

ჰგავდა შურისძიებას,
ზღვა არ იყო ჭკუაზე;
თითქოს იგი მიებათ
დამფრთხალ ცხენის ძუაზე.

ზღვამ ხურვება დაახშო...
ზღვა დალაგდა თელილი,
როგორც სუფრა სავახშმო,
წყნარად გადაფენილი.

გვიყურებდნენ ვარსკვლავნი,
როგორც ჯიხვის თვალები;
თვლემდა გაუნასკვავი
ტალღა ნაბურთალევი.